

უფლისადმი

მიწის სუნთქვაში

სარეველას სიმრავლეს ვებრძვი,

მსურს აირეკლოს სულის სარკემ

ზეცის ტრამალი ...

შენს სიყვარულში

დავინახო სიცოცხლის ღერძი,

გაღვივებული ხორბალივით ვიყო ამტანი.

ხელაპყრობილმა ამოვიცნო

სიკვდილის ძალა,

ყოფაზე ხორცებს, მორგებულებს,

ფასი აქვს ჩირის...

ქვიშის საათებს

შეგასწავლო რიდი და კრძალვა,

ფიქრით გავცვითო

ნაკვალევზე ნადები ჩრდილი...

გმადლობ, უფალო!

ევას ვაშლის მომწარო გემო

ცრემლის სიმლაშით დამისუსხე,

ამომახედე:..

შენი ტაძარი

მარად სულში უნდა ამეგო,
- ვერცხლის ცდუნება
შეგაყარე ცოდვიან ხმელეთს.
ვიცი, რომ მაღე
გაზაფხული აპარნასდება,
ყაყაჩოებით მოირწყება
თეთრი ფურცელი...
ავად თუ კარგად
ეს ფერებიც გადაფასდება,
განწირულ დროთა
უნდობლობას თუ გავუძელი...
უძღები შვილი
დაღლილ დღეებს მზეზე გავაშრობ,
ვიტყვი:
„სიკვდილი ანგელოზის ფრთებით მოფრინდა” ...
რადგან ვერ ავცდი
ამ ცხოვრების სუსს და ქარაშოტს,
დაბადებამდე
გავიპარე წუთისოფლიდან.